საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორას განძი

გორას განძი, ძვ. წ. XIII–XII სს. კოლხური კულტურის დამახასიათებელი ბრინჯაოს ხანის განძი, აღმოჩენილი სოფ. გორაში (ვანის მუნიციპალიტეტი).

შედგება ბრინჯაოს 12 სეგმენტისებური იარაღის, 5 თოხის, კოლხური ცულის, კოლხური ცულის ნატეხების, ნამგლის ნატეხისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან. დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ლ. ფანცხავა